ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4887800

ნომერი: AR1735532

თარიღი : 19.02.2020

გაცემის თარიღი : 06.03.2020

გაცნობის თარიღი : 06.03.2020

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კუს ტბის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , კუს ტბა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამარ შამანაური პ/ნ 24001012559
- თბილისი შოთა ნადირაშვილის ქ. N 22 ბ. 98

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღია სათამაშო და სპორტული მოედნის მოწყობა (მაყურებელთა ტრიბუნებისა და მათი ინფრასტრუქტურის გარეშე)

ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

საპროექტო მიწის ნაკვეთისა და მიმდებარე მიწის ნაკვეთზე (რომელიც განთავსებულია ამავე ტერიტორიაზე), სამსახურში არაერთხელ შემოსულა, მსგავსი ტიპის სამუშაოების განსახორციელებლად განაცხადი განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების,კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ (ოქმი N8, 27.02.2020 წ.), რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც აღნიშნულ საკითხს ეთქვა უარი. ზემოაღნიშნული კომისიის რეკომენდაციით (დოკუმენტი №4876898) საჭიროა დამუშავდეს განაშენიანების რეგულირების გეგმა, რის მიხედვითაც მოხდება მიმდებარე და საპროექტო ტერიტორიების შემდგომი განვითარება. გამომდინარე აქედან ამ ეტაპზე სამსახურის მიერ ვერ მოხდება ცალკე, დამოუკიდებლად ნებართვის გაცემა, რომ არ მოხდეს ერთიანი სივრცითი გადაწყვეტის დარღვევა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური ამ ეტაპზე მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.